ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომლის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში უფროსი ტარიელ ბერაძე.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი საკითხი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა